

# მ წ ყ ე მ ს ი

ს ა ს უ ლ ი ე რ ო მ თ ა ვ რ ო ბ ი ს ბ ა ნ კ ა რ ზ უ ლ ე ბ ა ნ ი .

პირი.

## განჩინება უწყიდესი სინოდისა.

2 ივნისიდან 1886 წლისა, № 4412, საეკლესიო-სამრევლო სკოლების სასწავლო საგნების პროგრამების გამოცემაზე.

(გაგზავლება \*).

ზოგიერთ ამისთანა პირველ დასაწყისი სასწავლებლები, სახელდობო ბლექსანდრაში და ანტონოხიაში, ძლიერ გაძლიერდნ და დიდი სახელი მოიპოვეს; ამ სკოლებმა გადასცეს თავიანთ მოწაფეებს უმაღლესი და ვრცელი ღვთის მეტყველებითი განათლება და დიდ წინააღმდეგობას უწევდნ კერბთ-თაყვანის მცემლების განათლების ფრიად სწავლულ წარმომადგენელთა. თუ დიდებისათვის, რომელნიც ენზადებოდნ ნათლის ღვთისათვის, ითხოვებოდა საზოგადო დარიგება სარწმუნოებაზე, და პირველ დაწყებითი მათი სწავლება ნზგავსი იყო სკოლისა და ხან-და-ხან მთლად სკოლას ემსგავსებოდა, მით უმეტეს საეკლესიო სკოლა განსაკუთრებით უსაჭიროესი იყო და არის ბავშვების განათლებისათვის, რომელთა უკვე მიიღეს წმიდა ნათლის-ღება, რათა ძვირფასი და დაუბრუნებელი დრო მათი განმტკიცებისა და აღზრდისა ხმარებულ იყოს, რათა შეისწავლონ მათ სარწმუნოების ქრემარიტებანი და კეთილი ცხოვრება, რომ ისინი ამ გვარი გაწერონის წყალობით ემორჩილებოდნ ეკლესიას, როგორც თავის ღვდას.

საეკლესიო-სამრევლო სკოლის დაპოკიდებულება ოჯახებურ აღზრდასთან და ჟიარა კითხვის სასწავლებალ შინაურ სკოლასთან.

საეკლესიო-სამრევლო სკოლებს წინ უნდა უძლოდეს თავდაპირველად დარიგება ბავშვებისა ოჯახებში და წერა-კითხვის შესწავლა შინაურულად.

ძრისტიანე ბავშვის აღზრდა იწყება მისი დაბადებისათანავე; ის კიდევ ვერ ცნობს თავის თავს, მაგრამ ამ დროს უთვალავ სხვა-და-სხვა გარემოებათა მოახდინეს მის სულში შთაბეჭდილება. მამის და ღვდის კეთილი ცხოვრება, მათი ღვთის კრძალულებით ლოცვა, ღვთის განგების დამორჩილება ყოველივე გაჭირვებაში, შრომის მოყვარება, უფროსების ზრუნვა სახლობის სხვა წევრებზე, ყველა ესეები მტკიცედ ინერგებიან ბავშვის ნორჩ სულში და გულში კეთილს და ქრისტიანულს ოჯახში, რომელსაც წმიდა მოციქული პავლე უწოდებს დიდ-მნიშვნელობიან სახელს: „შინაურ კვლევასას“. (ა კორინ. 16, 19). ეკლესიის მწყემსის განსაკუთრებით ზრუნვას შეადგენს, რომ ქრისტიანეთა ოჯახში მიღებული ყველა ეს კეთილი თვისებანი დაიცვას ბავშვებში. როცა ნახულობს მწყემსი თავის სამრევლოებს საჭიროებისათვის კი აწა, აწამედ თავის ნებით და ღვთის გულისათვის, ის თვალყურს უნდა ადევნებდეს, თუ ოჯახში ბავშვები როგორ გავლენას ქვეშ იზრდებიან, დაჰყავთ ისინი ტარებში თუ არა, ხომ არ სტოვებენ მათ ღვდის ხნობით უზიარებლად, ასწავლიან თუ არა მათ ლოცვას და მარხვის დაცვას და მასთან უნდა შეაგონოს მწყემსმა შშობლებს, თუ რა საჭირო და მაცხოვრებელია ქრისტიანულად ბავშვების აღზრდა.

შინაურულად ბავშვების სწავლება მალე გამოიწვევს საზოგადო და ერთად ბავშვების სწავლების საჭიროებას.

შველამ არ იცის წერა-კითხვა, რადგან ოჯახებზე ზრუნვა სხვა-და-სხვა გვარია და მეტად საძნელონი, განსაკუთრებით ღარიბი გლეხის ოჯახში; ბავშვები უფრო სწავლობენ, როცა ბევრნი ერთად არიან შეკრებილნი, ამისათვის საჭიროა მხოლოდ კლასის

\*) ის. «მწყემსი», № 23.

ზოგიერთა ნივთები; ყველა ეს გარემოებანი საჭირო-  
და ხდიან დაარსებულ იქმნენ წერა-კითხვის სასწავ-  
ლო შინაური სკოლები, რომლებიც, თვით ცხოვ-  
რების მოთხოვნილებისა მეტრ, ბევრგან ფუძნდებიან  
რუსეთში. ასეთი წერა-კითხვის სასწავლო შინაუ-  
რი სკოლები დასაწყისი არიან კარგად მოწყობილი  
საეკლესიო-სამრევლო სკოლებისა, რომლებისთვისაც  
ამხადებენ ბავშვებს. ზრუნვა მკვდლისა, რომელიც  
ხელ-მძღვანელია საეკლესიო სკოლისა, უნდა იყოს  
მიმართული იმაზე, რომ ყოველის მხრით ეცადოს,  
რათა დაიცვას ბავშვების ერთად სწავლების დროს ამ  
სწავლების დიდი მნიშვნელობა და მასთან წააქე-  
ზოს ყმაწვილები სწავლაზე.

მსლანდელს დროში ძალიან გავრცელებულია  
წერა-კითხვის სურვილი და საზოგადო მისწრაფება,  
რომ ბავშვებს ასწავლონ წერა-კითხვა, მასთან ბევრი  
არაიან მასწავლებლები, რომელნიც ბევრნაირად არიან  
მომხადებულნი და სხვა-და-სხვა მიმართულება აქვსთ,  
ამიტომ რიგია გარკვეულად აიხსნას, თუ რა დანიშნუ-  
ლება უნდა ჰქონდეს წერა-კითხვის სასწავლო სკოლას  
და როდის იქნება ამგვარი სკოლა სასურველი მართლ-  
მადიდებელი ეკლესიისათვის.

სიტყვა გრამოტა ბერძნულია და ნიშნავს წერი-  
ლებს, მაგრამ თუ სახელდობ რა წერილები ანუ რა  
წერა-კითხვა უნდა ასწავლო ბავშვებს, ამას გვიჩვენებს  
მოციქული პავლე თავის ეპისტოლეში თავის მოწაფის  
ტიმოთესამდა: და ჩემთვის სიყმშიდგან საღმრთონი  
წიგნნი იცნა, რომელნი შემდეგ აღიან განბრძნობად  
შენდა ცხოვრებასათვის საწმინდობითა ქრისტე იესოსა-  
თა (ბ ეპისტოლე ტიმოტესი 3, 15). ამ მოციქულის  
სიტყვებისაგან ხიანს, რომ პირველად ეკლესიაში სი-  
ტყვა წერილები ნიშნავდა საღმრთო წერილის ცოდ-  
ნას, მსგავსად იმისა, როგორც სიტყვა დაბადება  
(Библия) ნიშნავს საღმრთო წერილის წიგნებს. ჩვენს  
სამშობლოშიაც ძველად წერა-კითხვას ასწავლიდენ  
საღმრთო წერილის წიგნების საშუალებით. მს, სხვა-  
თა შორის, ხიანს სწავლის წინ წასაკითხავის ლოცვის  
სათაურისაგან, რომელიც ნაჩვენებია კუროთხევანში:  
ლოცვა, რომელსაც ბავში იწყებს საღმრთო წიგნის სწავ-  
ლას. ამ დროს წერა-კითხვის ცოდნის უმცარეს პო-  
გრამას შეადგენდენ: ანბანის შემდეგ ჟამნი და დავი-  
თნი-უმეტესად ღეთას მსახურების და ლოცვის საგნე-  
ბი. მაკვეთილი იწყობოდა სამი მეტანის გარდახდით  
დაათავებდენ გავკეთილს პარ-ჯვარის გამოხსნავთ და

წიგნებზე მოხვევით (მაგასად მკვდლისა, რომელიც  
ემთხვევა წმ. სანარებიდამ წაკითხულს სტრიქონებს).

აქედამ ხიანს, თუ რაში უნდა მდგომარეობდეს  
ქრესმარიტი და ნამდვილი სკოლის დანიშნულება. პირ-  
ველ დაწყებითი სკოლა, რომელიც შეადგენს შინაუ-  
რი სწავლების გაგრძელებას და რომელსაც აქვს უფ-  
რო ოჯახებური ხასიათი, არ უნდა ისაძღვებოდეს  
არც დროთი, არც კურსებით და არც პროგრამებით;  
მასთან აქ არც დიდი განათლება და მომზადება  
ითხრება ამ სკოლების მასწავლებლების მხრით.

ამისთანა სკოლა შეიძლება მოთავსებული იქმნეს,  
თვით პატარა შენობაში, უპრალო და ღარიბს ქობში,  
მაგრამ სკოლას ფიცხელი ყურადღება უნდა ჰქონდეს  
მიქცეული სარწმუნოებრივ აღზრდაზე და საღმრთო  
და ღეთის მსახურების წიგნებზე, რომელიც ისწავლე-  
ბიან ამ სკოლებში. უსაჭიროეს საგნებს წერა-კითხვის  
სასწავლო სკოლისას შეადგენენ: კითხვის სწავლება,  
ჟამის, დავითის, ლოცვების გალობა და უმთავრე-  
სთა და აუცილებლად სახმარი საეკლესიო საგალო-  
ბელთა შესწავლა. ამის შემდეგ, საჭიროებისა მეტრ,  
იწყება მხედრული ნაწერის სწავლება, წერა და ანგა-  
რიში. ამისთვის ამგვარი სკოლების მასწავლებელ ვაცე-  
ბში და ქალებში უნდა ვეძიოთ, რომ ისინი იყვნენ  
ღეთის და ეკლესიის მოყვარულნი და გულ-რბილნი,  
ხოლო რაც შეეხება მათ განათლებას, ისიც საეკლესიო,  
თუ მათ იციან კარგი და გაცემული კითხვა საეკლესიო  
წიგნების და რუსული და მასთან თუ მათ იციან წე-  
რა და ანგარიში, რაც უნდა ასწავლონ ბავშვებს.

მწყემსის განსაკუთრებით თვალ-ყურის გდებას ით-  
ხოვენ სხვა მერჯულეთა სკოლები. თუცა რუსეთის  
მართლ-მადიდებელ მცხოვრებთა შორის წერა-კითხვის  
სასწავლო სკოლა ასრულებს ოჯახის საქმეს, სხვა  
მერჯულემცხოვრებთა შორის ამასთანა სკოლების სა-  
ქმეა ქრისტიანობითა აღზრდა, რადგან სხვა რჯუ-  
ლის მექონე ოჯახში, მონათლულთა რომ იყე-  
ნენ ამ ოჯახში, ძვირი შემთხვევა არის, რომ ბავშვნი  
აღზარდონ ქრისტიანულად, არამედ უურო თავიანთ  
ჩვეულებას ასწავლიან და ზრდიან მათ უწინდელ თა-  
ვიანთ რჯულზე. ამიტომ სხვა რჯულთა მცხოვრებთა  
შორის დაარსებულმა წერა-კითხვის სასწავლო სკოლამ  
უმეტესი ზედ გავლენა უნდა იქონიოს, რომ ბავშვ-  
ში ჩანერგოს სარწმუნოებითი აღზრდა, ამიტომ ნება  
ეძლევათ, რომ ამ სკოლებში ბავშვებს პირველად ას-  
წავლონ მათ დედა ენაზე.

# მეფემსი

1885-1886

მწევესი დამატებით გამოდის თვეში სუთჯვერ, ყოველი თვის ათს, ოცს და ოც-და-ათ წიფსკეში.

### გაზეთის ფასი:

ერთი წლისა გავზახნით დაგუგზახუნლად	5 მან.
ნახევარი წლის —	3 —
„მწევესი“ რუსული დამატებით —	6 —
ნახევარი წლით —	4 —
ცალკე რუსული დამატება წლით —	3 —
ნახევარი წლით —	2 —

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გავზახუნა შეიძლება რედაქციაში ამ პდრესით: *Во издательстве, Во редакцию „Миреиси“ (Пастыр).*

ყველა სტატეები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზახნილინი დასაბეჭდავით, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ნელ-მოწერილინი. ავტორთაგან გამოგზახნილი სტატეები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ.

სტატეია, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკან-ვე დაებრუნოს.

სტატეები მიიღებიან რუსულ ენაზე დაწერილინიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

რით აიხსნება კათოლიკეთა საგვფალოფების უმეტესი გავლენა თავიანთ საფყსოზე და მტკიცე დამოკიდებულება ამ საგვფალოფთა და მათ საფყსოთა შორის ჩვენ საფყსოსა და საგვფალოფასთან უმადრებით?

დიდი ხანი არის, რაც საერო წოდების ყურნალ-გაზეთებმა დიდი ყურადღება მიაქციეს ჩვენი სამღვდელოების მდგომარეობას, მის სიღარიბეს და ნაკლებფენებას. საზოგადოება ცხადთ ხედავს, რომ კათოლიკეთა სამღვდელოებას უმეტესი გავლენა აქვს თავიანთ სამწყსოზე, ვინემ ჩვენ სამღვდელოებას. ცხადია, ყველასთვის, რომ კათოლიკეთა სამღვდელო პირები მიღებულ არიან თითქმის საზოგადოების ყველა წრეებში და მტკიცე დამოკიდებულება სუფევს მათ შორის. ბევრს უკვირს ამისთანა გავლენა კათოლიკეთა მღვდელებისა და ჩვენი სამღვდელონი დამნაშავედ გამოჰყავსთ, რომ ისინიც არ სარგებლობენ ამისთანავე გავლენით და მათ არა აქვსთ თავიანთ სამწყსოთაგან ის პატივი, რომლითაც კათოლიკეთა მღვდელები დიდი ხანია სარგებლობენ, ამის პასუხათ

ჩვენ ვკითხულობთ ერთ რუსულ სასულიერო ჟურნალში შემდეგ საყურადღებო წერილს. პი ამ წერილის შინაარსი, სხვათა შორის:

„ზოგიერთთა ისტორიულ პირობათა ცუდი ზედგავლენა იქონიეს ჩვენ სამღვდელოებაზე, რომლის გამო ჩვენი სამღვდელოება კათოლიკეთა სამღვდელოებასთან შედარებით საზოგადოებაში ძირსა სდგას. იმ არა სანატრელ პირობათა რიცხვს, რომელნიც ჩვენს სამღვდელოებას ამცირებენ საზოგადოების თვალში, ეკუთვნიან: ბატონ-ყმობა, რომლისგანაც დაიბადა საზოგადოების ზოგიერთ წრეებში ცუდი შეხედულება სამღვდელოებაზე, დაუსრულებელი სიღარიბე ჩვენი სამღვდელოებისა; ამ სიღარიბემ ჩვენი სამღვდელოება უკან ჩამოარჩინა სწავლა-მეცნიერებას და ცხოვრებას, გარდა ამისა მან დასცა მასწავლებლობა და ქადაგებითი სიტყვა, დაჰბადა ურწმუნობა და სარწმუნოების საქმეებისადმი გულ-გრილობა ჩვენი საზოგადოებისა, ხოლო ამ გულ-გრილობამ დაამცირა ჩვენი სამღვდელოების მნიშვნელობა. კათოლიკეთა მღვდელები ამ მხრით უფრო კარგ პირობებში არიან დაყენებულნი: მათ ხელშია კაი შემოსავლიანი წყაროები და ამი-

ტომ ნიეთიერის მხრით ისინი სიღარიბეს აზორებულნი არიან; რადგან ისინი ნიეთიერად უზრუნველ ყოფილ არიან, მათ ყოველთვის შეეძლოთ და დღესაც შეუძლიათ, რომ დამოუკიდებელ იყვნენ საზოგადოების მხრით; კათოლიკეთა მღვდლებს საერო წოდების დიდ წრეებში ყველგან კარები ღია აქვსთ, ამიტომ ისინი იძინენ რიგიანს გარეგანს მიხრა-მოხრას და თავისი თავის რიგიანათ დაქვრას და ამავდროულად სარგებლობენ თავიანთ უფლებათა გასაძლიერებლად. თუმცა კათოლიკეთა სემინარიებში სამღვდლო კანდიდატები ისეთ განათლებას ჭეერ იღებენ, როგორსაც ჩვენს მართლ-მადიდებელი სემინარიებში, მაგრამ ამის ნაცვლად ისინი თავიანთ ნაკლს ავსებენ როგორც სასულიერო შინაარსის წიგნების კითხვით, აგრეთვე საეროთი; მათ აქვსთ შეძლება და მასთან სურვილიც, რომ გამოიწვიონ და იკითხონ სხვა-დასხვა ქურნალ-გაზეთები, ურომლოთაც არ შეიძლება კაცმა საზოგადოებაში დაიჭიროს შესაფერი ადგილი; რომ თავიანთი ზედ მოქმედება და გავლენა გააძლიერონ, კათოლიკეთა მღვდლები მოხერხებულად სარგებლობენ იმ საშუალებებით, რომელნიც შემუშავებულია საუკუნოების განმავლობაში; ამისთანა საშუალებათა ეკუთვნიან: აღსარება, ქადაგებითი სიტყვა, ეკლესიიდან განდევნა. ამასთან ეს სამღვდლოება არ ჰკარგავს შემთხვევას, რომ კიდევ ახალი საშუალებანი გამოჩნდეს (მაგ. მათ გააერცვლეს ორმოცდა ათ და სამოც წლებში წიგნები და პატარა წიგნაკები, რომლებშიდაც ამტკიცებდნენ სამრევლო-თათვის სასულიერო წოდების საქირიებას).»

ჩვენ არაფერი არ შეგვიძლია ვსთქვათ წინააღმდეგ ჩვენი სამღვდლოების კათოლიკეთა სამღვდლოებასთან შედარებაზე, არაფერი გვაქვს სათქმელი აგრეთვე იმ ნაჩვენებ საშუალებათა შესახებ, რომლებსაც პატივ-ცემული გაზეთი ურჩევს ჩვენს მართლ-მადიდებელ სამღვდლოებას, რომ მან აღამაღლოს საზოგადოებაში თავის ავტორიტეტი და მნიშვნელობა (რომელთ რიცხვში მოხსენებულია წიგნების, ქურნალების და გაზეთების კითხვა, შეთვისება კარგი მიხრა-მოხრისა და ჩვეულებათა), მაგრამ ამასთან საქიროდ ვრაცხთ გაზეთის მსჯელობას და დასკვნას დაუმატოთ ერთი შენიშვნა. მართა ზემოდ ნაჩვენებ საშუალებათა არ შეუძლიათ მოუპოვონ ჩვენს სამღვდლოებას ის ავტორიტეტი და პატივი, რომლითაც კათოლიკეთა სამღვდლონი სარგებლობენ. მათ დიდი უფლება აქვსთ მინიჭებული თავიანთ სამწყსო-

თავან. მათ შეუძლიათ შეაჩვენონ მათ შესახებ დამნაშავე პირნი და განაძიონ ეკლესიიდან. ამისთანა პირთა საშველი არა აქვსთ, თუ ისევე მღვდელს არ შეურიგდენ. მოგვეყვას ამის დასამტკიცებლად ერთი შემთხვევა, რომელიც აწერილია ერთ რუსულ გაზეთში:

„1 ივნისს 1886 წელსა, სოფელ რუდში მელი-უნსკის მაზრაში მოხდა საშუალო საუკუნოების ერთი ცერემონია იმა ხანებში შეჩვენებული მებატონის პარზინსკის მონანებისა და შეჩვენების ახლისა. საქმე აი როგორ იყო. მაისის დამდგეს პარზინსკის ცოლი მიემგზავრებოდა ჩენსტოხოვში ერთად თავის მგზობელ მოდლეესკისთან. ამავდროულად იმავე გზით მიდიოდა სოფელ რუდის კათოლიკეთა სამლოცველოს მღვდელი. შევლა ეს მგზავრები იხსდნენ ერთ საზოგადო ეტლში. რა მოხდა გზაში, ამაზე ცნობები სხვა-და-სხვა ნაირია, მაგრამ ამის შედეგი იყო ის, რომ ქალბატონის პარზინსკის ქმარმა და მოდლეესკიმ დაიჭირეს ეს კათოლიკეთა მღვდელი სტანციის სახლის დერეფანში და სცემეს მას ჯოხით; ამის სამაგიეროდ პარზინსკი მღვდელმა შეაჩვენა. მღვდელს დიდა გავლენა ჰქონდა გლეხებზე, რომელთაც ერთხელ პარზინსკი გამოავდეს ეკლესიიდან, როდესაც ის შემთხვევით შევიდა ეკლესიაში ღვთის-მსახურების დროს. გლეხებმა მასთან გამოუცხადეს მებატონეს, რომ შენს მამულში აღარ ვიმუშავეთო და კიდევ აშინებდნენ, რომ მთელი საცხოვრებელიანად დაგწვათო. არცეთი მებატონე შეხვედრის დროს პარზინსკის თავს არ უკრავდა. ბოლოს დარწმუნდა პარზინსკი რომ მას არ შეუძლია მღვდელს წინააღმდეგობა გაუწიოს და გადასწყვიტა წასულიყო მღვდელთან და ბოდიში მოეთხოვა მასთან. ამ მიზნით პარზინსკი მიიქცა ადგილობით ეპისკოპოსის ბერესნევიჩისადმი. მან საცოდავი პარზინსკი დააყენა თავის ეზოში სამი საათი, ბოლოს მისცა მას მწყემს-მთაფრული დარიგება და უბრძანა, რომ ის მღვდელთან ერთად გამოცხადებულიყო მასთან და გაატანა მღვდელთან წერილი, რომელშიაც სწერდა მღვდელს, რომ შინაურულად მორიგებოდა პარზინსკის. ამ დროს ეპისკოპოსმა გამოიგონა წესი, თუ როგორ შეარიგოს ის ეკლესიას. ეპისკოპოსი, როცა ეპარქიაში დაიბრუნდა, ივნისის 30-ს ამა წლისას მივიდა ს. რუდში, სადაც ეკლესიაში სწირა თვით მან. პარზინსკი მოიყვანა ორმა მღვდელმა კარებთან და დაჩოქებული იყო პარზინსკი წირვის დაწყებამდე; ამ მდგომარეობაში იყო საცოდავი სამი საათი. წირვის გათავების



შემდეგ ათი შემოსილი მღვდლები გამოვიდნენ კარბ-თან. შხუცესმა მღვდელმა სამ გზით შემოაკრა წინ-და-უკან დაჩოქებულ პარზინსკის წკველი, რომლის შემდეგ აკურთხა, მისცა მას ხელი სამთხვევად. შემდეგ მღვდლები შებრუნდნენ ეკკლესიაში, ხოლო პარზინსკი ფორთხვით შეცოცდა ეკკლესიაში და მიხობდა საკურთხეველამდის, სადაც იდგა ნაცემი მღვდელი, რომელმაც აკურთხა ის და მისცა სამთხვევად თავისი ტანისამოსის კალთა და ხელი შენანებულ ცოდვილს. ამის შემდეგ პარზინსკი ადგა და მიუბრუნდა ეკკლესიაში მყოფთა, რომელნიც მისკენ ზურგ-შექცევით იდგნენ, ხმა მალლა გამოაცხადა, რომ მე მღვდელს უბრალოდ ვცემო და ჩემი ცოლი მოწაწაჯე დედა-კაციაო. ამის გამოცხადების შემდეგ ყველანი მიბრუნდნენ მისკენ და მებატონეები დიდის სიხარულით ულოცავენ პარზინსკის შენდობის მიღებას და ეკკლესიასთან ისევე შერიგებას.

აი რა უფლება აქვს კათოლიკეთა მღვდლებს თავიანთ სამწყსოზე? მის შეუძლია, მათ ხელი ახლოს; ანუ მათგან შეჩვენებული როგორ გახდეს ეკკლესიაში ფხვის შედგმას? ბანა ხალხი მას მიიკარებს ეკკლესიაში და ან მიიკარება რამეზე მას? სრულებით არა. ჩვენში როგორი წესი არის? მართა მღვდელმა ამას წინეთ ერთი გლეხი კაცი შეაჩვენა ცუდი საქციელისათვის. როდესაც წირვად დგებოდა, შემოვიდა ეს შეჩვენებული კაცი ეკკლესიაში. მღვდელმა მრევლს სთხოვა, რომ ის კაცი ეკკლესიაში არ შემოეშვათ, მაგრამ მრევლმა ამ კაცს ხმა არ გასცა. მღვდელმა, რადგან გული მოუვიდა ამ კაცზე, წირვას თავი დაანება. შეჩვენებულმა კაცმა იჩივლა მღვდელზე. საქმით დამტკიცდა, რომ მღვდელი ამ შეჩვენებულს ეკკლესიაში არ უშვებდა. სასულიერო სასამართლომ ეს მღვდელი პრიიტნიკის ადგილზე ჩამოიყვანა და ამით მღვდელს მთელი ნამსახურობა დაეღუპა, რომლითაც შეუძლია ვინმეს შეჩვენება გაუბედოს. მიციტ ჩვენ მეორე მაგალითიც. მართა მღვდელ-მთავარმა ერთ გლეხ კაცს გარყენილი ცხოვრებისთვის აღუკრძალა საზოგადოებაში გარევა და შეჩვენება გამოუტყდა, მაგრამ ეს გლეხი კაცი სრულებით ამ შეჩვენებას არ გრძობდა, რადგან საზოგადოება მას ისე იღებდა, როგორც წინეთ...

ჩვენი სამღვდლოება ბევრ უფლებას არის მოკლებული, კათოლიკეთა მღვდლები კი აღჭურვილნი არიან ამ უფლებით. მათი სამწყსონი აგრე ახირებულად ვერ მოეკიდებიან თავიანთ მღვდლებს,

როგორც ჩვენ გვეკიდებიან. ძლიერ კარგად უხედავთ ყველანი, რომ ხან-დის-ხან ზოგიერთი თანამდებობის პირნი, დამნაშავენიც რომ აღმოჩნდნენ, საზოგადოებას მაინც სხვა ნაჩად აჩვენებენ საქმეს, იმისთვის, რომ მოსამსახურე პირთა პატივი და გავლენა არ დაამცირონ ხალხის თვალში. სამღვდლოება კი ყველაფერს ამას მოკლებულია. გვიკვირს, რომ ამას საზოგადოება ვერ ხედავს და ჩვენ გვადებს ბრალს იმაში, რაც ჩვენზე დამოკიდებული არ არის.


მდ. დ. დამბაშიძე.



წერილი რედაქტორთან. \*)

მ. რედაქტორო! „მწყემსი“-ს 19 №-ში დაბეჭდილი იყო სტატია: „ბურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის, ყოვლად სამღვდლო ბრიგარის ახლად შესვლა ბურიაში“, რომელშიაც მოყვანილი იყო ჩემი შესხმა ყოვლად სამღვდლო ბრიგარისადმი. ამ შესხმაში ნათქვამი სიტყვები: „შემდეგ ჟამთა ვითარებისა გამო ბურიას აღრ ჰყოლია სანატრელი მღვდელ-მთავრები,“ სრულებით არ შეეხება ყოვლილ სამღვდლო აღიქმანდრეს, დროებით ბურიის მმართველს. ამისათვის საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ ჩემს შესხმაში, რომლითაც მიემართე ყოველად სამღვდლო ბრიგარის, მმართველი ბურიისა არა მყოლია სახეში, როგორც დროებითი გამგე ეპარქიისა. ჩემს შესხმაში ყოვლად სამღვდლო ბრიგარისათვის ერთი სიტყვაც არ მითქვამს მისს წინათ ეპარქიის მმართველზედ. ეს თვით შესხმის აზრთა წყობილებიდანაც ჩანს, რომელშიაც საგანს შეეხებ ისტორიულად, თუმცა ძალიან მოკლედ, და არა განსაზღვრით რომლისამე დროისა, ანუ პირთა. მე ვამბობდი საკუთრივ „ბურიის“ მღვდელ-მთავრებზედ; მაშასადამე, ჩემის აზრით, არაეისა აქეს საფუძველი, რომ ზემოთ მოყვანილი სიტყვების და მთლად შესხმის შინაარსის მიხედვით, ბურიის უკანასკნელ მმართველს უწოდოს „ბურიის“ ეპისკოპოსი.

გუგრა-სამეგრელოს საკათედრო საბოროის დეკანოზი ალექსანდრე კავკასიძე.



\*) ჩვენის აზრით დაუჭრდა მამა კავკასიძის წერილისა საქიროც არ იყო, რადგან ის თავის შესხმაში სრულებით არ შეხებია პატივცემულ ყოვლად სამღვდლოს აღიქმანდრეს. ვხედავთ ამ წერილს მხოლოდ მამა კავკასიძის სურვილისამებრ.

რედაქტორი.

**შესანიშნავი შვილდ-ისარი.**

რაჭის მახრის ს. აბარის საზოგადოებაში მე ვიყავი სოფლის მასწავლებლად. შემოხსენებული საზოგადოება დაბა მნიდამ დასავლეთით არის. ამ საზოგადოების ერთ სოფლის ურჯას მახლობლად არის ერთი მთა, რომელსაც საჯახეკე მთას ეძახიან. ამ მთიდან ჩრდილოეთით არის ერთი დიდი დაბურული ტყე, რომელშიდაც გადის გზა და მიდის მნიში. ამ გზის ერთ დაფაკებულ ალაგას, რომელსაც გარშემომუხის დიდი ხეები აქვს შემოწკრივებული, არის ერთი სასაფლაო, ამ სასაფლაოზე არის დასობილი რკინის ერთი ისარი. ამ ისარზედ არის ჩამოკიდებული რკინის შვილდი. ისარის ზედა თავი არის გახვრეტილი. ეს ისარი და შვილდი ისეთი დიდები არიან, რომ მე და ჩემს თანამოგზაურს გაგვიჭირდა თვითვეულად მათი დაძვრა ადგილიდამ; ჩემის ფიქრით ეს შვილდ-ისარი სიმძიმით უნდა გამოვიდეს ექვსი ფუთი მაინც. ისარი სიგრძით იქნება ორი არშინი და სისქით ერთი გოჯი; შვილდი კი სამი ადლია. ეს ძველი ნაშთები აქამომდე შეუნიშნავი უნდა იყოს ცნობის მოყვარე კაცი-საგან და ამიტომაც მათზე აქამომდე ყურადღება არავის მიუქცევია. ამ სოფლის მოხუცებულ კაცებს გამოვკითხე ამ ნივთებზე, მეგონა მათ რამე ეცოდინებოდათ, მაგრამ მათ ჩემსავით არაფერი არ იცოდნენ ამ ნაშთების შესახებ.

დ. სლაძე.

**რ ა ზ ი ღ ა მ.**

ივლისის თვის ჩვიდმეტ რიცხვიდამ მომრიგებელი შუამდგომელი თ. შიფიანი შეუდგა საკომლო სიების შედგენას. ბ. შიფიანმა თანახმად 10 მუხ. კანონთა, გამოცემულთა საკომლო სიების შედგენის შესახებ, მისწერა ადგილობრივი მღვდლებს, რომ მათ მიეცათ მისთვის საჭირო ცნობები მეტრიკიდან მათდამი რწმუნებულის სამრევლოების თვითვეულ წევრის წლოვანებაზე. საკომლო სიების შედგენა იწყობ. შიფიანმა პირველად სოფელს ბაჭიხევიდამ. სიების შედგენის დროს ძალიან დიდი დაბრკოლება ეძლეო-

და ბ. შიფიანს სიაში ჩასაწერ პირთა ნწოდებებზე, რადგან 1880-1886 წლებში დაბადებულები მეტრიკაში არ იყვნენ ჩაწერილნი, რის გამო მეორე ხაზი საკომლო სიისა, თითქმის ცარიელი დარჩა. რაც შეეხება უკანა წლებს, აქ უფრო ბევრი აღმოჩნდნენ მეტრიკაში ჩაუწერელნი. ჰველაზე გასაკვირველი ის არის, რომ ზოგიერთ აქაურს მღვდლებს მხედრული წერა-კითხვა ძალიან სუსტათ სცოდნიათ. ზოგიერთ მათგანს მეტად ენელებოდათ მხედრულ ენაზე დაბეჭდილი ფრცის ფურცლის წაკითხვა. ამ შემთხვევაში მადლობის ღირსია ცხმორის მღვდელი მ. იოსებ ძობერიძე, რომელსაც დღიდგან მისი მღვდლად ხელდასხმისა ერთი სული არ დარჩენია მეტრიკაში ჩაუწერელი და მასთან სწრაფად გვაძლევდა საჭირო ცნობებს მეტრიკიდან. ბარდა ამისა მას მხოლოდ ერთს ჰქონდა საეკლესიო საბუთები წმინდათ დაცული და ხრონოლოგიურად დაწყობილი.

საკომლო სიების შემდგენი მარგოზ სოსხაძე.

**ახალი ამბები და შენიშვნები.**

თხუთმეტ ამ აგვისტოს თბილისის საკრებულო სიონის ტაძრის დღესასწაულობის დღეს სწირა მისმა მაღალ ყოველად უსამღვდელოესობამ, საქართველოს ექსარხოსმა. ამ დღესასწაულ დღეს ჩვეულებისა მებრმოვიდნენ პრავალნი მლოცველნი, რომელნიც ღამით გალავანშივე დარჩნენ მეორე დღემდისინ. ბასაკირველია, რომ მლოცველთა შორის იყვნენ ზოგიერთი სომხებიც.

\* \*

სიონის ტაძრის გალავანში ჩრდილოეთის მხრით წინეთ უბრალო შენობები იყო და, როგორც მახსოვს, ცხენების თავლებათ იყო გაქირავებული. დღეს ამ ძველ შენობათა მაგიერ ახალი მშენიერი შენობები აუმართავთ. როგორც გვიამბო სიონის სობოროს დეკანოზმა მამა მსტატე მლიევმა, ეს შენობები არიან დანიშნული ეკლესიის შესანიშნავი ძველი ნივთების შესანახავად—მუზეუმად. ეს მუზეუმი არის დაწყებული მაღალ-ყოველად უსამღვდელოესის სა-

ქართველთა არქივისკოპოსის პავლეს თაოსნობით და მის საუკუნო მოსახსენებლად დარჩება ჩვენს საქართველოში.

\* \*

ამერიკის ეკლესიებში ყველაზე უფრო მეტი კრუშკის ფულები შემოდის ერთს ნიუ-იორკის კათოლიკეთა ეკლესიაში. მათ აღდგომის დღეს ამ ეკლესიას კრუშკით შემოწირული ფულები შემოსვლით ახარავს ათასი მანეთი. აი შეწირავს ამას ქვიან! არც ერთ ჩენი სახელმწიფოს ეკლესიაში არ შემოვა ამდენი ფულები არა თუ ერთ დღეს, ეგონებთ, არც ერთს წელიწადს...

\* \*

ჰვირილის გამოჩენილი ახალი „ექიმი“, ვილაცა ნაათიკრალი, როგორც მცნობებმა პირებმა გვითხრეს აქსტაფაში ვილაცა მებაღესთან ყოფილა ბაღის მმართველად. მხლა აქ მაზრაში დარბის, ატყუებს ხალხს და ართმევს მათ ლუკმა პურს. არავინ არ სთხოვს მას არც ბილეთს და არც მთავრობის ნება-რთვას.

\* \*

ზამთარი გვიანლოვდება. ხიდი ჰვირილაზე გაფუჭებულია. სოტა ხნის იქით წყალ-დიდობა ასტყდება და მარგანეცის ზილვაც უნდა მოიპოს უღვევის გზით, რადგან ამ გზით მარგანეცის მზიდველნი ეხლა მდინარე ჰვირილაში გადიან, და როცა წყალი მოიმატებს, მაშინ შეუძლებელი იქნება წყალში გასვლა.

\* \*

დაბა ჰვირილის დუქნები ერთ ვერსტ-ნახევარზე არიან გამწკრივებულნი. შშთვარიო ღამეში კაცს ბაზარში გავლა არ შეუძლია, სადმე კისერს მოიტეხს; ერთი ფარანი არსად არის დადგმული. ამისთანა დროს, როცა გირვანქა ნათი კაპიკ ნახევრათ ისყიდება, ოთხი-ხუთი ფარნის დადგმა ვერ მოუხერხებიათ. ჩვენი დაბა, როგორც იტყვიან, საათობით იზრდება. დღეს დაბა ჰვირილა ნამეტან თვალ-ყურის გდებას ითხოვს.

\* \*

მუთაისი აღარასფერში ურჩება უკან თბილისს. აქაც დაიწყეს ახალად დაბადებული ბავშვების ქუჩებში მიგდება. სულ ერთ კვირაში სამი ბავში ნახეს ქუჩაზე. მათი ბავში მთავარ-ანგელოზის ეკლესიის გალა-

ვანზე შემოედვით. ბავში გამძრეულიყო, გარდმოვარდნილიყო, თავი ქვანზე დაეხალა და იქვე მომკვდარიყო. მეორე ბულვარის გვერდზე დაეგდოთ და მესამე ღამის ცხრა საათზე ქალების გიმნაზიის კარბთან მიეგდოთ. ამ ბავშვებს დედებიც და მამებიც იტყვიან, რომ ისინი ვითომ აღამიანები არიან და ქრისტიანული სიყვარულობა აქეთ!.. აი ნაყოფიზარმაცობისა და უსაქმობისა!..

\* \*

სამღვდელოებას ხაზინიღგან ჯამაგირის მიღება სამჯერ შეუძლია წელიწადში ოთხ-ოთხი თვის წინდა-წინ. მრთ მესამედი წლისა გავიდა და მესამე მესამედი დადგა, ეს არის. სექტემბრის პირველი რიცხვებიდან ყველას შეუძლია მთელი წლის ჯამაგირი მიიღოს, ძლიერ კარგი იქნება, რომ ამასზე განკარგულებას მოახდენდენ და ამ ჯამაგირს გამოითხოვდენ.

\* \*

შშაღლესად ნება-დართულია, რომ სემინარიელები შემდეგ სრული კურსის გათავებისა მიღებულ იქმნენ მარშაფის შივერსატეჯში მხოლოდ ისტორიკო-ფილოლოგიურ და ფიზიკო-მატემატიკურ ფაკულტეტებზე.

\* \*

ბავკასიის აქეთა მხრის რკინის გზაზე წარსული წლის განმავლობაში მომხდარა ორმოცდა თერთმეტი უბედურება. მცდა თექვსმეტი კაცი მომკვდარა და ოცდა ერთი მძიმედ დაჭრილა. ძლიერ საინტერესოა, ვიცოდეთ: ამდენი კაცი იხოცება წელიწადში სხვა ამ სიგრძე გზებზე, თუ მეტა?...


# სწავლა და მუხნიარება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კათოლიკანობაზედ.

საუბარი სამწყსოსთან

მომეტებული სასმელების (ღვინის, ოტკის და სხვ.) ხმარების მავნებლობაზე, თქმული 2 მარტს მწუხრზე 1886 წელსა გორის საკრებულო ეკლესიაში.

ლოოები ვერ დაიმკვიდრებენ სასუფეველსა ღვთისასა (გალატ. 5, 21.)

ძველის აღთქმის მოთხრობებიდგან ცხადათა სხანს, რომ ღვინო არის უსაჭიროესი სახმარებელი სასმელი, რომელსაც მრავალნი ხალხნი სევამდენ.



თვით ნოემ შემდეგ წარღვნისა დარგო ვაჭი; შემდეგ მოამზადა ლინო და სემდა: „და აწუო ნოე კაცმან საქმედ ქვეყანისა და დასსა ვენახი, და სვა ღვინო მისგან და დაითრა და განშიშვლდა სახლსა შინა თვისსა (9 თაე. მუხ. 21, 22 შექმ.). რომ ლინო არის სასარგებლო, მარგებელი ადამიანის ბუნებისათვის, ამას ამტკიცებს ღვინო წინასწარმეტყველი, რომელიც ფსალმუნთა წერილში ამბობს; პუჩი და ღვინო ახსრებს გუფსა კაცისასა... მსევე სჩანს ახალის აღთქმიდგანაც. როდესაც იესო ძრისტე იმყოფებოდა ქვეყანაზედ, ერთხელ ქორწილში მიიპატიყეს თავის დედა მარიამითა. ლინო რომ შემოაკლდათ, ძრისტემ წყალი ღვინოთ გადააკცია; მეორედ კიდევ საიდუმლო სერობაზედ ძრისტე თავის მოციქულებით ღვინოს სემდა და სხვათა შორის წარმოსთქვა: „სუთ ამისგან ყუკელთა... მოციქული პავლე სწერს ტიმოთეს: „ამიერიდგან მარტო წყალს ნუ სვამო, ცოტადენი ღვინოც იხმარე, რადგან ჯანმრთელი აჩა ხსრ და შენი სტომაქისთვი სხსრგებლათ (ტიმ. 5, 231).

როგორც ხედავთ, ძმანო ქრისტიანენო, ღვინო უცილოდ საჭირო სასმელი ყოფილა ადამიანისთვის. ღვინო მიღებული ზომიერად და თავის დროზედ სასარგებლო და მარგებელია არათუ ჯან-მრთელი კაცისათვის, არამედ ავთამყოფთათვისაც კი: თვით მკურნალებიც ურჩევენ ავთამყოფებს ღვინის სმას.—რისთვის? და იმისთვის, რომ ყუათი და დონე მიეცეთ. ღვინო აძლევს კაცს ძალას, სიფხიზლეს, სიმხიარულეს. შოველივე მაგარი სასმელი, მიღებული ზომიერად თავის დროზე, ადამიანს არას დროს არ დააზიანებს.

თუმცა, მართალია, სხვა-და-სხვა სასმელები სასარგებლონი არიან და კაცის სიცოცხლისათვის ერთ უმთავრეს საჭიროებას შეადგენენ,—მაგრამ მომეტებული მითი ხმარება უზომოდ და უდროოდ, რომელსაც ჩვენ, ქართველები ვეძახით წრეს გადასვლას, «ლოთობას», — ისეთი ვნება და ცული შედეგი აქვს, რომ ამით შეიძლება არა ერთი კაცი, არა ერთი სახლობა, არამედ საზოგადოება, მრთელი მხარე დაიღუპოს. დამტკიცებულია საზოგადოდ, რომ ვინც მომეტებულს ღვინოს და ოტკას ხმარობს, მას გონება დაუფლურდება, ჯანი დაუსუსტდება, სიცოცხლე შეუმოკლდება, სახლობას სიღარიბეში შეიყვანს—სახლობაშივე ავთამყოფები არ გამოვლევა; შეილები უძლურები ებადება და ამისა გამო ჩამომავლობას ძალა აღარ ეძლევა და ხალხი იქლიტება უდროოდ.

მომეტებული სმა სასმელებსა, «ლოთობა» მრავალ ქვეყნებშია გავრცელებული. როგორია ეს უცხო ქვეყნებში, არა ნაკლებ ჩვენს მშვენიერს ქვეყანაშიაც, ამ ჩვენს საქართველოშიაც არის გავრცელებული მომეტებული ღვინის სმა, თუმცა არაყსა კი ისე არ ეწყობიან, როგორც რუსეთში და სხვა ქვეყნებში. ჩვენი გლეხი კაცის მოსაველში ერთი უმთავრესი ალაგი უჭირავს ღვინის მოსაველს. ღვინო ზოგიერთა სოფლებში იმოდენა მოდის, რომ გასასყიდადაც მოიჭარბენენ. ღვინით ყოველივე ნაკლულევანებას შეივსებს ჩვენი ქართველი კაცი, რომ რიგინად ხმარობდეს. მაგრამ ისე უზომოდ ხარჯავს, რომ წლამდინ ორმოც-სამოცი კოკაც რომ ჰქონდეს არ გაახწვინებს. მაგალითებო: ვარდაცალებზედ, ქორწილში, წირვაში, ნათელაში და სხვა სტუმრობაში დიდი ხარჯები იციან—უზომო ხარჯები; შეიძლება ერთ რომელიმე ამ სადილოვანზედ დაინარჯოს ათი კოკა და ბევრჯელ მეტიც; ბევრჯელ მიცვალებულზე სადილი თითქმის ქორწილს დაემგვანება ხოლმე. ქორწილში ხომ სათქმელი არ არის, თუ რა ურიგო და შეუსაბამო არის ხოლმე. ეს ბოლო მოუღებელი სმა არამც თუ ღუპავს ხალხს, არამედ თვით ხალხიც ზნეობითად საბოლოოდ ფუჭდება. რათა? იმათა, რომ მიჩვეულნი ამ უზომო სმას, აგინებენ ერთმანეთს, ლაძლამენ და, რასაკვირველია, შეილებიც მათი, ხედვენ რა უმფროსების ყოფა-ქცევას,—იღებენ მათგან მაგალითსა. თუმცა დრო არის, ამას ბოლო მოვლოს და შევაგონოს ვისიც რიგია, მაგრამ სადაა?!..

უზომოდ და უჯგოოდ ღვინის და ოტკის მსმელებს ჩვენ ვეძახით „ლოთებს“; თვით პავლე მოციქული ამბობს ამათზედ, რომ: „ლოთები“ ვერ დაიმკვიდრებენ სასუფეველსა ღვთისასა; მეორე ადვილას ამბობს: ნუ დაითრებით ღვინითა, რამეთუ სიბილწე აჩსო. ლოთობა, მართლ. მადიდ. ქრისტე, სიბილწე და შესაზარი ავთამყოფობა არის. აი რა ნაირია ლოთი კაცი: იგი მავნებელია არა მარტო თავისთვისთვის და სახლობისათვის, არამედ საზოგადოებისათვისაც, როდესაც მომეტებულს ღვინოს-ოტკას სემას, მაშინ ღვინის ძალა ასდის მას თავში, აბრუებს, გონებას უხშობს და რაც მომეტებულს სემას, უფრო უგუნურდება, მისი თავი სიბნელით იმოსება. ისა ხდება უბოროტესი, ამიტომ რომ სისხლი უღულს; დაბნელებული თვალები მისი ვერას ხედავენ—თუ ხედავს ისრეკი არა, როგორიც არის, სხვა ნაირად—ბნელად. მეგობარი მტრად ეჩვენება; მტერი—მეგობრათ, ცა



ქვეყნად, ქვეყანა ცად; მის თვალ წინ ყველა ტრია-  
ლებს; ლაპარაკობს იმითთან, ვითანაც შესაძლო არ  
არის ლაპარაკი, — რას და როგორ ლაპარაკობს? ცდი-  
ლობს ყველას ერთ ანოხს; საიდუმლო გამოააშკა-  
რაოს; მას ყველადერი უკლმა ესმის და შფოთზე და  
ჩხუბზე იწევს; იწევს ხალხზე, ურცხვად იქცევა და  
ამით ამცირებს თავის სახელს, თავის კაცობას, იმ  
სახეს, რომელიც ლმერს მისთვის მიუნიჭებია; იბნე-  
ლებს იმ სულს, რომელიც ლმერთს მისთვის შთაუბე-  
რია მისდა სასიკეთოდ; ყველას ლანძღავს, ტანისამოსს  
იფუჭებს, სახლში არავისი შიში და რიდი არა აქვს:  
არც ღვთისა, არც ხალხისა; უშვერის ლექსით იხსე-  
ნებს შეილებს, ცოლსა, ყვირის, ამტვრევს რაც  
მოხვდება, როგორც გაბრაზებული მხეცი! შეუსაბამო  
სიტყვებს ისერის — ისეთ სიტყვებსა, რომ ფიზიკურ  
აზრობაც არ მოუფავ; ლოთს კაცს ქვეყანაზედ არავისი  
არ ეყურება, არც მამისა, არც ცოლისა, არც შვი-  
ლებისა. ლოთი კაცი მხეცზედ უარესია იმიტომ, რომ  
მხეცი მაინ არის მოსარჩილადი, როცა შიან, კაცი  
კი — როცა მთვრალია; ეწმავსაც კი ლეთისა ეშინიან,  
კაცს კი არა.

რადგანაც ვიცით და ვხედავთ მრავალ მაგალი-  
თებსა, რომ არა თუ მარტო ჩვენში, არამედ სხვაგა-  
ნაც ამ ნაერათ მომეტებული სმა სასმელებისა მანე-  
ბელია, დამლუბელია აქ ჩვენის ცხოვრებისა და  
წამწყმედელია სულისაც — იმ მომავალ ცხოვრებაში,  
სადაც ანგარიშის მოთხოვნის დროს მიეცემთ პასუხს  
ამ ცუდ საქციელშიაც, — მაშ, ძმანო ქრისტიანნო,  
შევიკაოთ თავი იქამდინ, რომ მომეტებულმა სმამ არ  
დაგვცლიოს, ვერიდოთ და ისრე უცქიროთ „ლოთო-  
ბას“, როგორც ერთ უუბოროტეს საქციელს; ვიყვნეთ  
კმაყოფილნი ცოტათი და ეს ცოტა იქმნება მარგებე-  
ლი არათუ ჯანმრთელობისათვის, არამედ სულის  
საცხოვნებლადაც. ამინ!

გორის სობოროს მღვ. იოელ გამრეკელი.

ამ სოფლის ავარებაზე. \*)

ამ სოფელსა ნუ ვენდობთ, მოგატყუებს ყველასა,  
დღეს ცოცხალ ვართ, სვალ მოკვდებით, აქ გაუშვებთ  
ყველასა:  
სასლსა, კაცსა, საქონელსა, ვენახსა და ჭაფასა,  
მოგა ის დღე, როცა მოკვსობთ სმასაც და ჭამასა.

\*\*\*

\*) ეს ლექსები მივიღეთ ჩვენ ბ. ნიკო ლ — ძისგან, რო-  
მელიც გმწერს, რომ მას უნახავს ერთი ხელ-ნაწერი წიგნი,  
რომელშიაც მრავალი ამის მსგავსი ლექსებია. ჩვენ  
ვბეჭდავთ აქ ლექსებს შეუსცვლილად.  
რედაქტორი.

ამ სოფლისა უცხონი ვართ, აქ არა გვაქვს სადგური;  
ჩვენი სახლი შვიდ ცას სეკით, პანის მღვთისგან  
დადგმული,  
მაშ იმავ დემეტოს ვემსახურათ, ნუ ვართ მისი  
ორგული;  
შუამდგომლად დავიჭირათ მასი დედა ქალწული.

\*\*

ამ სოფლის სიამოვნება ძალე წავა და წასდება,  
უსიკვდილოთ ვერ მოკრჩებით, ეს ყველასთვისა ახდება.  
რასაც აქ სიკუთეს ვაქოთ, საიქიოს წინ დაგვხდება,  
ერთი თეთრი გაცემული, იქ ას რქოთ დაგვხდება.

\*\*

მღვთის სახელსუდ რასაც გავსტეპოთ, მის დღეში  
არ წასდება,  
რას გინდ რომ ბეჭი ვიცოცხლოთ, მაინც ვადევ  
მოკვდებით;  
მიწა ვართ, მიწას მივკვებენ, დაგვესკვიან მატლები,  
მოდე, ძმანო, ჭკვას მოკვებეთ, ამ სოფელს ნუ  
გავკვებით.

ნ. ლ — ძე.

ნ ა ნ ა

შობის დღეს სათქმელი.

მოისვენე, მოისვენე, შვილო, ჩემო საყვარელო,  
ტბილას ძილით დაიძინე, გულის ნათელი დაიფინე.

ნანნი ნანა, შვილო ჩემო, საყვარელო.

ზეციით მოსულე ნათელო, სასუფეველასა ნათელო,  
ამა ქვეყნისა დამსწელი, გერბების რიგის მომშელო.

ნანნი ნანა, შვილო ჩემო, საყვარელო.

შენ ხარ იმედი დედისა და მერმე სულ ამა ქვეყნისა,  
ენა მომეტე გალობისა, რომ ნანი გითხრა ქებისა.

ნანნი ნანა, ძეო, ნათლით შემოსილო.

ეს აკანნი ცუდი სისა, შენ ხარ ვარსკვლავი ცისკრისა,  
თვალის სინათლე დედისა, დამსწელი ამა ქვეყნისა.

ნანნი ნანა, შვილო მღვთისა მადლისა.

ნათლით მოსკულ, ნათელი ხარ, შენ გიციობ მე, მართალი ხარ, შენ აღამის დამხსნელი ხარ, ძღუთისაგანა მოსული.

ნანნი ნანა, მზეო დაუღამებელი.

დილის მზე ხარ ამოსული, ზეცილამა ჩამოსული, გეხვეწები, ჩემო შეილა, გამინათლე ჩემი გული.

ნანნი ნანა, ლალო, დაუფასებელი.

შენ გაჭებენ სკაფიომნი, გიგალობენ ქეჩბანნი: შენ ხან დიდი ჩვენი ღვინი, მზე ხარ ქვეყნად ამოსული.

ნანნი ნანა, ძეო, მამის გაუწყელი.

შენ ხარ მამა ობლებისა, მწყალობელი გლახებისა, დამხსნელი წმინდანებისა და მეტე ცოდვილებისა.

ნანნი ნანა, მხსნელი, წმინდა სულებისა.

სრული ღმერთო, სრული კაცო, საღმერთო გვამო ჭეშმარიტო, მამასაგან ხარ უდედოდ, ჩემგან უმამოდ შობილი.

ნანნი ნანა, ძეო უფლადა ქეხელი.

მელა ციდანა გადმოსკედ, მამისაგან მოკლენილი; ჩამესახე სარებითა, აწ ხარ ურმაკებრივ შობილი.

ნანნი ნანა, კაო ცოდვისა ამდებო.

ნ. ლ - ძე.

### მელავითნათა საუკრადლოდ.

ხშირად შევხვედრივართ, რომ სოფელში წირვაზედ შესღვად შემდგომ „მოვედით თაყვანისცესა“ ტროპარნი და კონდაკნი ვერ უხმარიათ რიგზედ. გამოცდის დროსაც განსაწყესებელი მედავიონებიც ვერ ხსნიან ამას და ყველას უჭირს. რასაკვირველია, ამის მიზეზი უცოდინარობაა, და აი უცოდინარობა რაში მდგომარეობს. ალბათ არა აქვსთ გარჩეული, რას ნიშნავს საგალობელი და ღღებები: ტაძრის, კვირის, თვენის, დღის და სხ. და აგრეთვე ამათი ტროპარნი და კონდაკნი, რომელი უსწრობს ერთი მეორეს წინ და რომელი უდგას უკანა. ამ დროს ტროპარ-კონ-

დაკთა რიგზედ წაუკითხაობა, ჩემის ფიქრით, სხვა რომელიმე ადგილას შეცდამაზედ უფრო უჩივთა. ამისათვის საჭიროა პირველად ცოდნა და მნიშვნელობა ღღებებისა და ტაძრისა, მაგალითებო: კვირას და კვირის საგალობელს რა უპირატესობა აქვს სხვა ღღებზე. აგრეთვე, შეიდეულ ღღებსაც აქვსთ თავ-თავისი მნიშვნელობა საგალობელით და ტროპარ-კონდაკებით; თითოეული ღღე ითვლება შემდეგთა წმიდათა სახელობაზედ:

მრშაბათი არის ღღე მთავარ-ანგელოზისა. სამშაბათი — წინა-მორბედისა, იოანე ნათლის-მცემლისა. მოთშაბათი და პარასკევი ჯვარისა. ხუთშაბათი მოციქულებისა და წმიდის ნიკოლოზისა. ხოლო შაბათი: მოციქულთა, წინასწარმეტყველთა, მღვდელ-მთავართა, წმიდათა მამათა და სულისა. ამ ღღებში დამთხვევა თითვეთა წმიდის ეკლესიის ტაძრის ტროპარ-კონდაკნი და ღღესასწაულისა. აი ამავების გარჩევა და ცოდნა არის საჭირო, რომელი წინ უნდა ვიხმაროთ და რომელი შემდგომ; ამ მოხსენებული ღღების ტროპარ-კონდაკები ტაძრისა და ღღების შეთანხმებით იყოფება და იხმარება თავ თავის ადგილს.

გარდა დამთხვეულის დღესასწაულისა

### შ მ ს ლ ვ ა დ

გ ვ ი რ ა ს:

გარდა მაცხოვრისა ჭ ღვთის მშობლის ეკკლესიისა. მაცხოვრისა ჭ ღვთის მშობლის ეკკლესიასი \*).

ტროპარნი: საკვირაო აღდგომის ხმისა, ეკკლესიის წმიდისა და თვენის რიგის წმიდისა, (თითქმის მეორე წმიდის ტროპარიც თვენისა, უკეთუ აქვს), შემდგომ კონდაკნი: აღდგომისა, ტაძრის წმიდისა, დიდებად, თვენის წმიდის კონდაკი და აწდათ, «სასოო და შესავედრებელი ქრისტეანეთაო.» (უკეთუ აქვს, დიდებად ითქმის კონდაკი მეორე წმიდისა.)

ტროპარნი: საკვირაო აღდგომის ხმისა რვა ხმათა, ღვთის მშობლის ტაძრისა, და რიგის თვენის წმიდისა, (თითქმის მეორე წმიდის ტროპარიც, უკეთუ აქვს) კონდაკნი აგრეთვე, აღდგომისა და აწდათ, თვენის წმიდისა და აწდათ ღვთის მშობლის ტაძრისა. (უკეთუ აქვს თვენის მეორე წმიდის კონდაკი, ითქმის დიდებად.)

\*) გვირას მაცხოვრის ეკკლესიასი ტროპარი და კონდაკო ტაძრისა არ უნდა, არამედ ვიტყვით მხოლოდ აღდგომისა და თვენის ტროპარ კონდაკთა. აწდათ ითქმის სასოო და შესავედრებელი.



მ რ შ ა ბ ა თ ს ა .

პირველად ტროპარი დღისა «ზეცისა მწედრობათა» და ეკკლესიის წმიდის ტროპარი, მერმე რიგის თვენის წმიდისა და მეორე წმიდისაც უკეთუ აქვს. აგრეთვე კონდაკი: დღისა ორშაბათისა, ეკკლესიის წმიდისა და თვენის წმიდისა. დიდება, წმიდათათანა განუსვენე, აწდა სსსოო და შესავდრებულო.

პირველად ტროპარი მაცხოვრის ეკკლესიისა, ანუ ღვთის მშობლის ეკკლესიისა, (ტაძრისა მებრ) აგრეთვე დღისა «ზეცისა მწედრობათა» და თთვენის წმიდის ტროპარი, ითქმის მეორე წმიდისაც. დიდება, წმიდათათანა განუსვენე, აწდა ტაძრისა. ღვთის მშობლისა. ანუ მაცხოვრისა. (ტაძრისამებრ).

ს ა მ შ ა ბ ა თ ს ა .

პირველად ტროპარი დღისა: «სენება მართლისა» და ეკკლესიის წმიდისა, თვენის რიგის წმიდისა და მეორე წმიდისაც (უკეთუ აქვს); კონდაკი: დღისა, ეკკლესიისა წმიდისა და თვენის რიგის წმიდისა და მეორე წმიდისაც (უკეთუ აქვს). დიდება წმიდათათანა და აწდა «სსსოო და შესავდრებულო».

ტროპარნი ტაძრისა მებრ: მაცხოვრისა, ანუ ღვთის მშობლის ეკკლესიისა, დღისა სამშაბათისა «სენება მართლისა» და თვენის წმიდის ტროპარნი. მერმე კონდაკი: «წინასწარმეტყველო ღვთისაო.» თვენის წმიდისა (ითქმის მეორე წმიდისაც) დიდება წმიდათათანა და აწდა ღვთის მშობლის ანუ მაცხოვრის ეკკლესიისა (ტაძრისა მებრ).

მ თ ხ შ ა ბ ა თ ს .

ტროპარნი: დღისა «აცხოვნე უფალო ერი შენი», ეკკლესიის წმიდისა და თვენის რიგის წმიდისა; შემდეგ კონდაკი: დღისა «რომელი ამალღდი» ეკკლესიის წმიდისა და თვენის რიგის წმიდისა, დიდება, წმიდათათანა, აწდა სსსოო და შესავდრებულო\*).

ტროპარნი: «აცხოვნე უფალო ერი შენი». აგრეთვე ღვთისმშობლის ეკკლესიისა და თვენის წმიდისა. კონდაკი: დღისა «რომელი ამალღდი და თვენის რიგისა, დიდება, წმიდათათანა განუსვენე, აწდა ღვთის მშობლის ეკკლესიისა, ანუ მაცხოვრისა. (ტაძრისამებრ).

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს .

ტროპარნი: დღისა ხუთშაბათისა, ეკკლესიის წმიდისა \*\*) და თვენის რიგის წმიდისანი, აგრეთვე კონდაკი; დღისა და თვენის რიგის წმიდისა, დიდება, წმიდათათანა განუსვენე და აწდა სსსოო და შესავდრებულო.

ტროპარი ქრისტეს ეკკლესიისა, ანუ ღვთის მშობლისა, დღისა. «მოციქულნი წმინდანო» და ნიკეალოზისა. \*\*\*). თვენის წმიდის ტროპარი და მეორე წმიდისაც, კონდაკი დღისა თვენის წმიდისა დიდება, წმიდათათანა და აწდა ღვთის-მშობლის ტაძრისა, ანუ მაცხოვრისა. (ტაძრისამებრ).

\*) ამ ოთხშაბათის მსგავსად ითქმის პარასკევსაც უცვლელად. \*\*) მოციქულის ეკკლესიაში ტაძრის ტროპარ-კონდაკი არ უნდა. \*\*\*) ხუთშაბათს ორი ტროპარი აქვს ერთი მოციქულთა და მეორე ნიკეალოზისა.

შ ა ბ ა თ ს ი ა მ ო რ თ ა ნ ა

ტროპარი დღისა «წმიდანო დიდებულნი» (შაბათს ტაძრის ტროპარი არ უნდა საზოგადოთ წმიდის ეკკლესიაში), აგრეთვე ითქმის თვენის წმიდის ტროპარი. კონდაკი თვენის წმიდისა დიდება, წმიდათათანა განუსვენე და აწდა «სოფლისა შემოქმედისა», თვენის წმიდის ტროპართან ითქმის მეორე წმიდის ტროპარიც და აგრეთვე კონდაკიცა რიგზედ. უკეთუ თვენს სრულიად არა აქვს ტროპარი, მაშინ ნაცვლად თვენის ტროპარისა, ითქმის ტროპარი მიცვალებულთა. (მოიხსენე უფალო.)

ტროპარი მაცხოვრის ანუ ღვთის მშობლის ეკკლესიისა. (ტაძრისამებრ) და დღისა, «წმიდანო დიდებულნი» და აგრეთვე თვენის წმიდათა ტროპარნი. კონდაკი თვენის წმიდისა, დიდება, «წმიდათათანა» აწდა სოფლისა შემოქმედისა. «შაბათს შესვლად, კონდაკი მაცხოვრის და ღვთის-მშობლის ტაძრისა არ ითქმის. მაგრამ თუ რომელიმე სადიდებელთან დღესასწაული დამთხვავდა შაბათს, რთმელიც პარაკლიტონის საგალობელს აყენებს, ამ შემთხვევაში დადგება შაბათის დღის ტროპარ-კონდაკიც და ითქმის აწდათ ტაძრის მაცხოვრის, ანუ ღვთის-მშობლის კონდაკი, და სადაცა არს წმიდის ეკკლესია, იქ ითქმის აწდათ სსსოო და შესავდრებულო.»

დაეკონი რაქვენ ხუნდაქე.

შ ე წ ი რ უ ლ ე ბ ა .

შეარჩილესად გთხოვთ გამოაცხადოთ თქვენ პატივცემულ გზეთ „მწყემსი“ საყურადღებოთ შემწირველთა, რომ შეკრებილი ჩემ მიერ ფული, ოცდაჩუხ მანეთი და ორმოცდა ხუთი კაპ. (28 მ. 45 კ.) ობილისის სემენარის ღარიბის მოწაფეების შესაწევნელათ, გაიგზავნა დანიშნულებისამებრ ჩემგნივ 10 ამაფებერელის თთვის რიცხვსა №33.

მს ფულები შემოვიდა შემდეგ პირთაგან:

ბლად. მღვ. ე. ვეფხვაძისაგან	—	2 მან.
მღვდლის ისიდორ დევდარიანისაგან	—	1 —
— იოსებ ტაბაძისაგან	—	1 —
— გიორგი მანჯავიძისაგან	—	50 კ.
— სოფრომ მაჭავარიანისაგან	—	50 კ.
— სიმონ კურტანიძისაგან	—	5 —
— მაქსიმე ბარბაქაძისაგან	—	50 კ.
— სპირიდონ ლონღაძისაგან	—	40 კ.
— რიმანოზ დევანოსიძისაგან	—	2 —
— დომენტი რამნიშვილისაგან	—	1 —
— იოსებ გორგაძისაგან	—	1 —
— იოანე ფერაძისაგან	—	1 —



—	ვეთიმე ინსარაძისაგან	—	50 კ.
—	თომა მაჭავარიანისაგან	—	40 კ.
—	იოანე ვეფხვაძისაგან	—	50 კ.
—	რომანოზ ხაჩიძისაგან	—	50 კ.
—	ამბაკო ვეფხვაძისაგან	—	50 კ.
—	ვეთიმე ოყროშისაგან	—	50 კ.
—	დავით ციციშვილისაგან	— 1 —	
—	იოსებ ციციშვილისაგან	— 1 —	
—	ბესარიონ არევაძისაგან	—	50 კ.
—	გრიგოლ დევდარიანისაგან	— 1 —	
—	მოსე არევაძისაგან	—	60 კ.
—	სპირიდონ გელაშვილისაგან	—	35 კ.
—	გიორგი ხარაძისაგან	— 1 —	
—	დავით ტაბატაძისაგან	— 1 —	
მთავარ	ღიაკენას ლეონტი მანჯავიძისაგან		50 კ.
მთავარ	ღიაკენის სიმონ ხარაძისაგან	—	50 კ.
პრიორი	ტიკის გიორგი ვეფხვაძისაგან	—	20 კ.
—	ონისიმე მანჯავიძისაგან	—	20 კ.
—	პორფილე მანჯავიძისაგან	—	20 კ.
—	როსტომ გამცემლიძისაგან	—	20 კ.
—	ლაზარე გოგალაძისაგან	—	10 კ.
—	გიორგი ჩადუნელისაგან	—	10 კ.
—	სპანდიერ მაჭავარიანისაგან	—	10 კ.
—	სარიდან დევდარიანისაგან	—	20 კ.
—	მურძაყან ხარაძისაგან	—	20 კ.
—	ალექსი ხიჯავაძისაგან	—	10 კ.
—	გიორგი მალრაძისაგან	—	10 კ.
—	იესე ტაბატაძისაგან	—	20 კ.
—	ბიჭია ბუნნიკაშვილისაგან	—	10 კ.
—	პორფილე კამკამიძისაგან	—	10 კ.
—	ივანე გაჩეჩილაძისაგან	—	10 კ.
	სულ — 28		45 კ.

ბლაღოჩინი მღ. ე. ვეფხვაძე.

# ვანცხადებანი

ისუიდებიან მღვ. დავით დაბბაშიძისაგან გამოცემული წიგნები:

**თბილისში: ბრიტუროვის წიგნის მაღაზიაში. ქუთაისში: მმ. ზილაძეების წიგნის მაღაზიაში. ყვირილაში: ყვირილის ნათლის-მცემლის ეკლესიის საეკლესიო ნივთების საწყობში და დ. ხონში: წერეთლის წიგნის მაღაზიაში.**

სახელდობრ:

**საქართველოს საეკლესიო ისტორია**

ფასი უუდოთ—ცხრა შაური.

**ქართული ლოცვანი,**

ფასი უუდოთ 30 კ. და უდით 45 კ.

მღვდელთათვის საიდუმლოების შესრულების დროს საჭირო.

**სახელმძღვანელო წიგნი,**

ფასი უდით ექვსი შაური.

ახალი სასულიერო კონსისტორიათა ფუნდებზე, ფასი ვოკრი აბაზი.

**ახალი პარაბადინი,**

ფასი უდით ერთი მან.

ყვირილის საეკლესიო სახლის საწყობში ისუიდებიან აგრეთვე ყოველ-გვარი საღმრთო საეკლესიო წიგნები და ნივთები.

**შინაარსი:** ოფიც. ნაწ. უწმიდესა სინოდის განკარგულებანი. — ან ოფიც. ნაწ. კათალიკეთა და ჩეხთა ეკლესიების სამღვდლოების გავლენის შესახებ. — წერილობითი ტოტან. — შესანიშნავი შეილდ. ისარი. — რაჭიდან. — ახალი ამბები და შენიშვნები. — მოძღვრება. — ლექსები. — შეწირულება. — განცხადება.